საქართველოს
მელიორაცია
GEORGIAN
AMELIORATION

+995 032 00 10 00
info@ag.ge
www.ag.ge

N გ-4078
06/12/2022

4078-გ-2-202212061652

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დიმიტრი ზურაბიშვილს

ბატონო დიმიტრი,

შპს „საქართველოს მელიორაციაში“ შემოსულია თქვენი 25.11.2022 წლის N34-342232935 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავაზში მდებარე 627 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 72.03.10.971) განკარგვის თაობაზე.

გაცნობებთ, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავაზში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ 72.03.10.971) მიმდებარედ გადის ლამი-მისაქციელის მაგისტრალური არხის გ-6 გამანაწილებლიდან გამომავალი მეორე რიგის გამანაწილებელი, რომლის გასხვისების ზოლი, „სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების საამშენებლო ნორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 30.06.2003 წლის N19 ბრძანების შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში შეადგენს მეორე რიგის გამანაწილებლი არხის ორივე მხარეს 4-4 მეტრს.

აღნიშნულიდან გამომდინარე შემდგომში მიწის ნაკვეთის რაიმე ფორმით გასხვისების შესაბამის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იქნას გასხვისების ზოლების დაცულობა. ასევე, დაცული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 31.12.2013 წლის N409 და N440 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რათა ხელი არ შეეშალოს სამელიორაციო სისტემების გამართულ ტექნიკურ ექსპლუატაციას. აღნიშნული შეზღუდვა ასახული უნდა იყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ ხელშეკრულებების რეგისტრირებისას.

პატივისცემით,

თენგიზ ნასარიძე

გენერალური დირექტორი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE